ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 368

„25" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" (ს/კ 404906170) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ,,ა(ა)იპ - ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" (ს/კ 404906170) ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 16 ნოემბრის N44.11.935 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს და მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" (ს/კ 404906170) ლიკვიდაციის თაობაზე;

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**